



## საქართველო

### ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება N 43 630

19/06/2018

#### ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიაში თამბაქოს მოწვევის აკრძალვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“, და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52-ე, 54-ე მუხლებისა და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში აკრძალოს თამბაქოს მოწვევა.
2. „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად შემუშავდეს და დამტკიცდეს თამბაქოს მოწვევასთან დაკავშირებით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში მოქმედი წესები და განისაზღვროს პასუხისმგებლობის სათანადო ზომები.
3. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიაში თამბაქოს მოწვევის აკრძალვასთან დაკავშირებით დამტკიცდეს მარეგულირებელი წესი წინამდებარე ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
4. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან დაკავშირებული წესების დარღვევის შემთხვევაში ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეცალისტისთვის ბორის ჭიჭინაძისთვის.
5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა.
6. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;
7. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7) ბრძანების გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

კახაბერ მახათაძე

მუნიციპალიტეტის მერი